



შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის“

**პროფესიული განათლების
მასწავლებლის/პროგრამის განმახორციელებლის
სამსახურში
მიღების წესი**

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის“ (შემდგომში - კოლეჯი) პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროგრამის განმახორციელებლის სამსახურში მიღების წესი, (შემდგომში - წესი) შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების, მომქმედი კანონმდებლობის, განათლების სფეროს ექსპერტთა რეკომენდაციების საფუძველზე.
2. პროფესიული განათლების მასწავლებელი არის პირი, რომელიც სასწავლო პროცესს წარმართავს პროფესიული განათლების ფარგლებში.
3. პროგრამის განმახორციელებელი არის პირი, რომელიც სასწავლო პროცესს წარმართავს პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში.
4. წინამდებარე პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროგრამის განმახორციელებლის სამსახურში მიღების წესი მიზნად ისახავს კვალიფიციური, სათანადო ცოდნის, გამოცდილებისა და საჭირო უნარ-ჩვევების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლების/პროგრამის განმახორციელებლების შერჩევას.
5. პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროგრამის განმახორციელებლის შერჩევადა სამსახურში მიღება ხორციელდება წინამდებარე წესისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 2. პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროგრამის განმახორციელებლის სამსახურში მიღების ზოგადი წესი

1. პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროგრამის განმახორციელებლის სამსახურში მიღება ხორციელდება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“, კოლეჯის დებულებით, საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკისა, ამ წესითა და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.
2. პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროგრამის განმახორციელებლის სამსახურში იღებს და სამსახურიდან ათავისუფლებს კოლეჯის დირექტორი. სამსახურში მიღება ეფუძნება თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად მიღწეულ შეთანხმებას.
3. პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროგრამის განმახორციელებლის შერჩევის მიზნით დირექტორის ბრძანების საფუძველზე, კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ან/და დასაქმების შესაბამის ვებ-გვერდებზე ქვეყნდება ინფორმაცია პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროგრამის განმახორციელებლის ვაკანსიის შესახებ, სადაც მითითებულია ვაკანსიის დასახელება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო საკვალიფიკაციო მოთხოვნები, წარმოსადგენი დოკუმენტაცია, ვადები და სხვა პირობები.
4. ვაკანსიის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების დღიდან იწყება საბუთების მიღება.
5. ვაკანსიაში მითითებული ვადის ამოწურვის შემდეგ კოლეჯის დირექტორისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ ხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის განიხილვა და შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრება.
6. გასაუბრების დადებითი შედეგის შემთხვევაში დირექტორი გამოსცემს ბრძანებას, რის საფუძველზეც შერჩეულ პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროგრამის განმახორციელებლის კანდიდატთან ფორმდება მომსახურების ხელშეკრულება.
- 6'. თუ მოდულის/თემის დაწყებამდე მაქსიმუმ 5 დღით ადრე პროფესიული განათლების მასწავლებელი/პროგრამის განმახორციელებელი ატყობინებს კოლეჯს რომ ვერ შეძლებს მოდულის/თემის განხორციელებას, კოლეჯი გამონაკლისის სახით ვაკანსიის გამოცხადების გარეშე აფორმებს მომსახურების ხელშეკრულებას იმ პირთან რომელიც აკმაყოფილებს წინამდებარე წესის მე-2 მუხლის მე-8 პუნქტს და მოდულის დაწყებამდე წარმოადგენს კალენდარულ გეგმასა და შეფასების ინსტრუმენტს.
7. პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროგრამის განმახორციელებლის სამსახურებრივი უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება მომსახურების ხელშეკრულებით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, კოლეჯის დებულებას, საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკას, შინაგანაწესს და კოლეჯში მოქმედ სხვა სამართლებრივ აქტებს.

შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი

8. პროფესიული განათლების მასწავლებელი/პროგრამის განმახორციელებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება, რომელიც დადასტურდება შესაბამისი დაწესებულების მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტის საფუძველზე.
9. პრაქტიკული კომპონენტის პრაქტიკის ბაზაზე ჩატარებისას, პრაქტიკას განახორციელებენ ბაზის (პრაქტიკის ობიექტის) მიერ შეთავაზებული შესაბამისი პირები ან/და პროფესიული განათლების მასწავლებლები/პროგრამის განმახორციელებლები.
10. პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი პირი, უნდა აკმაყოფილებდეს წინამდებარე წესით და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით/პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამით დადგენილ შესაბამის მოთხოვნებს.
11. პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროგრამის განმახორციელებლის სამსახურში მიღება შეიძლება განხორციელდეს ასევე კონკურსის წესით. კონკურსის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი.
12. პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროგრამის განმახორციელებლის სამსახურში მიღებისას შრომის ანაზღაურების ოდენობა და პირობები, შესასრულებელი სამუშაოების გათვალისწინებით, განისაზღვრება ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 3. სამსახურში მიღებასთან დაკავშირებით წარმოსადგენილი დოკუმენტები

1. პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროგრამის განმახორციელებლის სამსახურში მიღებასთან დაკავშირებით დოკუმენტების მიღებას ახორციელებს კოლეჯის ადამიანური რესურსების მართვის სამსახური.
2. სამსახურში მიღების მსურველმა უნდა წარმოადგინოს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ დადგენილი დოკუმენტაცია:
 - 2.1. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
 - 2.2. განცხადება სამსახურში მიღების შესახებ;
 - 2.3. ავტობიოგრაფია/CV;
 - 2.4. განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 - 2.5. კვალიფიკაციის ამაღლების დამადასტურებელი დოკუმენტები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
 - 2.6. ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის ნასამართლეობის შესახებ;
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა, კოლეჯი უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში კანდიდატისაგან მოითხოვოს სხვა დოკუმენტების წარდგენა, შეამოწმოს მათი სისწორე ან მოიპოვოს დამატებითი ინფორმაცია, რომელიც ესაჭიროება შრომითი ურთიერთობის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად.
4. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისწორესა და ნამდვილობაზე პასუხისმგებელია დოკუმენტაციის წარმომდგენი პირი.
5. მოთხოვნილი დოკუმენტების არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში კანდიდატს ეძლევა ვადა - 5 სამუშაო დღე, ხარვეზის გამოსასწორებლად. აღნიშნული ვადის ამოწურვის შემდეგ ხსენებულ დოკუმენტთა წარმოდგენლობა შეიძლება გახდეს ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის საფუძველი.
6. სამსახურში მიღებამდე სამსახურში მიღების მსურველი პირის შესახებ მიღებული ინფორმაცია არ არის საჯარო და არ შეიძლება გახდეს ცნობილი მესამე პირისათვის მისი თანხმობის გარეშე.
7. გადაწყვეტილებას პირის სამსახურში მიღებასთან დაკავშირებით იღებს კოლეჯის დირექტორი.

მუხლი 4. სამსახურში მიღება კონკურსის წესით

1. კოლეჯში პროფესიული განათლების მასწავლებელი/პროგრამის განმახორციელებელი სამსახურში შეიძლება მიღებულ იქნეს კონკურსის წესით, რომლის მიზანია კოლეჯში ვაკანტურ თანამდებობებზე დასანიშნად მაღალკვალიფიციური კადრების შერჩევა.

შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი

2. პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროგრამის განმახორციელებლის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსი ცხადდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით სადაც მიეთითება:
 - 2.1. კონკურსის ჩატარების თარიღი და დრო;
 - 2.2. კონკურსანტთა რეგისტრაციის ვადები და ადგილი;
 - 2.3. ინფორმაცია ვაკანტური თანამდებობის შესახებ;
 - 2.4. საკონკურსო მოთხოვნები (საკვალიფიკაციო, ზოგადი და სპეციალური)
 - 2.5. კონკურსის ჩატარების პირობები;
 - 2.6. საბუთების მიღების ვადები.
3. საბუთების მიღება გრძელდება არანაკლებ 1 და არა უმეტეს` 2 კვირისა.
4. კონკურსი ტარდება საბუთების მიღების დასრულებიდან არანაკლებ 5 და არა უგვიანეს 14 დღის ვადაში.
5. განცხადება კონკურსის გამოცხადების შესახებ უნდა განთავსდეს კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე, კოლეჯში ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას, ასევე, შესაძლებელია გამოქვეყნდეს საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებად პერიოდულ ბეჭდვით ორგანოში,
6. პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროგრამის განმახორციელებლის კონკურსის წესით შესარჩევ პირთა გამოვლენის მიზნით იქმნება საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.
7. საკონკურსო კომისიის წევრი შეიძლება იყოს როგორც კოლეჯის თანამშრომელი, ისე პირი, რომელიც არ არის დასაქმებული კოლეჯში.
8. კონკურსი არის ღია. ნებისმიერ პირს აქვს უფლება ისარგებლოს დამკვირვებლის სტატუსით. დამკვირვებლის სტატუსის მოსაპოვებლად, პირი ვალდებულია წერილობითი ფორმით მიმართოს საკონკურსო კომისიას კონკურსის ჩატარებამდე არაუგვიანეს 5 დღისა.
9. საკონკურსო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც მონაწილეობს კოლეჯში მიმდინარე კონკურსში კანდიდატის სტატუსით.
10. თანამდებობის დაკავების მიზნით კონკურსში მონაწილეებმა (კონკურსანტებმა) უნდა წარმოადგინონ წინამდებარე წესის მუხლი 3 ის პუნქტი 2-ში მითითებული დოკუმენტები
11. საკონკურსო განცხადებაში მითითებული უნდა იყოს: განმცხადებლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, მოდულების/თემატიკის დასახელება. განცხადებით აგრეთვე დასტურდება, რომ კონკურსანტი იცნობს შესაბამის სამართლებრივ აქტებს და თანახმაა მონაწილეობა მიიღოს კონკურსში დადგენილი პირობებისა და მოთხოვნების შესაბამისად.
12. საკონკურსო კომისია თავის წევრთა შემადგენლობიდან ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს და კომისიის მდივანს. კომისიის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს კომისიას. სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა ნახევარი მაინც.
13. გადაწყვეტილების მისაღებად კომისია სხდომაზე ატარებს ღია კენჭისყრას. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებები ფიქსირდება შესაბამის ოქმებში.
14. რეგისტრაციაში გატარდება ნებისმიერი კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს ამ წესით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას.
15. მოთხოვნილი დოკუმენტების არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში კანდიდატს ეძლევა ვადა - 5 სამუშაო დღე, ხარვეზის გამოსასწორებლად. აღნიშნული ვადის ამოწურვის შემდეგ ხსენებულ დოკუმენტთა წარმოდგენლობა შეიძლება გახდეს რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.
16. კანდიდატურის რეგისტრაციაზე უარი უნდა იყოს წერილობითი ფორმით დასაბუთებული.
17. კონკურსი შეიძლება ჩატარდეს გასაუბრების ფორმით.
18. გასაუბრებას ატარებს საკონკურსო კომისია. გასაუბრება ტარდება კონკურსანტის ზეპირი ინტერვიუებით. გასაუბრებაზე გამოვლენილი ცოდნა ფასდება სისტემით: მაღალი (5 ქულა), საშუალო (3 ქულა), დაბალი (1 ქულა), შეუსაბამო (0 ქულა). კონკურსანტის ცოდნას აფასებს საკონკურსო კომისიის თითოეული წევრი ცალ-ცალკე და საბოლოო შეფასების გამოყვანა ხდება საშუალო არითმეტიკულის წესის გამოყენებით.
19. კონკურსის დროს საკონკურსო კომისია გასაუბრების შედეგების საფუძველზე შეიმუშავებს დასაბუთებულ რეკომენდაციას პირის თანამდებობასთან შესაბამისობის შესახებ.
20. საკონკურსო კომისია პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროგრამის განმახორციელებლის თანამდებობაზე რეკომენდაციას აძლევს მხოლოდ ერთ კონკურსანტს, თუ ამ წესით სხვა რამ არ არის დადგენილი.

შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი

21. უპირატესობა ენიჭება იმ კონკურსანტს, რომელსაც გააჩნია უკეთესი შედეგი (ქულა). იმ შემთხვევაში, თუ საუკეთესო შედეგი გააჩნია ორ ან მეტ კონკურსანტს (ქულათა თანაბრობა), საკონკურსო კომისია დირექტორს წარუდგენს კონკურსის საერთო შედეგს და გადაწყვეტილებას პირის თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე იღებს დირექტორი კონკურსანტის მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

22. საკონკურსო კომისია კონკურსის შედეგებს (რეკომენდაციებს) გადასცემს კოლეჯის დირექტორს, რომელიც აღნიშნული შედეგების (რეკომენდაციების) გათვალისწინებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პირის ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე.

23. კონკურსის შედეგები ცხადდება იმავე დღეს. კომისია ვალდებულია, ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას გამოაკრას კონკურსის შედეგები.

24. საჩივარი კონკურსის შედეგების შესახებ შეიძლება წარმოდგენილი იქნას კონკურსის შედეგების გამოქვეყნებიდან 2 დღის ვადაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ საჩივრები არ მიიღება.

25. საჩივარი უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:

25.1. საჩივრის შემტანი პირის სახელი, გვარი, მისამართი;

25.2. საჩივრის შემტანი პირის სტატუსი (კანდიდატი, დამკვირვებელი, საკონკურსო კომისიის წევრი);

25.3. დარღვევის შინაარსი;

25.4. საჩივრის შემომტანი პირის მოთხოვნა;

25.5. საჩივრის შემომტანი პირის ხელმოწერა.

26. საკონკურსო კომისია საჩივარს იხილავს საჩივრის წარდგენიდან 3 დღის ვადაში და იღებს სათანადო გადაწყვეტილებას.

27. საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილებას საკონკურსო კომისია იღებს იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევს, რომ ამ წესით განსაზღვრული პირობების დარღვევამ არსებითი გავლენა იქონია კონკურსის შედეგზე.

მუხლი 5. ცვლილებები და დამატებები წინამდებარე წესში

1. წინამდებარე წესი მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით;

2. წინამდებარე წესში ცვლილებები და დამატებები შედის კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.